



Echowaves Festival ახალი მუსიკალური ფესტივალია.

23-26 აგვისტოს Check In Georgia-ს ფარგლებში ანაკლია ახალ პროექტს უმასპინძლებს. ჟანრობრივად განსხვავებულ სცენები - Main Stage, KHIDI Stage, EYE Stage და Tayo Stage 150 საერთაშორისო და ადგილობრივი არტისტს უმასპინძლებს. მათ შორის არიან: Die Antwoord, Tricky, Solomun, Ben Klock, Marcel Dettmann, Juan Atkins, Function, Kayakata, NU, Woo York, Henrik Schwarz, Antigoe, DJ TENNIS, Greenbeam & Leon.

ტერიტორიაზე გაშენდება კარვების ქალაქი, სადაც სტუმრები ფესტივალამდე 1 დღით ადრე შეძლებენ დაბანაკებას.

ფესტივალის დღეებში მოეწყობა სხვადასხვა გასართობი და სპორტული აქტივობები: ვორქშოფები, კინოჩვენებები, ზიპ-ლაინი, ფეხბურთი, კალათბურთი, სამაგიდო თამაშები და ა.შ. მთელი დღის განმავლობაში იმუშავებს აკვაპარკიც.

ღონისძიება ევროპაში ერთერთი საუკეთესო და პოპულარული ფესტივალის, EXIT-ის ქოლგის ქვეშ იმართება.

2014 წელს EXIT „ევროპის საუკეთესო მთავარ ფესტივალად“ იქნა აღიარებული ევროპის ფესტივალების დაჯილოების მიერ. Echowaves სწორედ EXIT-ის მხარდაჭერით ტარდება და მის ორგანიზებაში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ჯგუფია ჩართული, რაც ბრენდის ბრენდის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

4 დღიანი ღონისძიების მიზანი რეგიონის კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა და ტურისტულად მიმზიდველი პროექტის შექმნაა.

Echowaves-ის მსვლელობისას ანაკლიას ათასობით შიდა და საერთაშორისო ვიზიტორი ეწვევა, რაც სასტუმროების და კერძო სექტორის დატვირთულობის კოეფიციენტს მკვეთრად გაზრდის. ფესტივალი ხელს შეუწყობს რეგიონში ინვესტიციების ზრდას და ანაკლიის ელექტრონული მუსიკის რეგიონულ ჰაბად ჩამოყალიბებას.

პროექტს Anaklia Entertainment Group ახორციელებს, რომლის ხელმძღვანელია ბრანე კოსტადინოვი. ბრანე კოსტადინოვი EEMM (Eastern European Music management) ჯგუფის დამფუძნებელია. კომპანიის საქმიანობა 2001 წელს დაიწყო და ამ დროისთვის მათ მსოფლიოს 25 ქვეყანაში 3000-ზე მეტი ღონისძიება აქვთ ჩატარებული, "ბუქინგის" კუთხით კი 700-ზე მეტ არტისტთან უთანამშრომლიათ.

#Echowaves Festival - FindYourWave